ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #125

4 ივნისი 2012 წ.

2012 წლის საკურორტო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, კურორტ ბახმაროში გასატარებელ ღონისძიებათა და სეზონის განმავლობაში, კურორტზე საკითხთა ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა მივლინების შესახებ

კურორტ ბახმაროში 2012 წლის საკურორტო სეზონის ორგანიზებულად ჩატარების და დამსვენებელთა მომსახურების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად

ვბრძანებ:

იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელში კურორტ ბახმაროში საკურორტო სეზონის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელია შესაბამისი ღონისძიებები

1. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (ლელა იმედაშვილი) უზრუნველყოს:

1.1. კურორტზე სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა;

1.2. კურორტის წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება;

1.3. დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურება;

1.4. კურორტისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარული ღონისძიებების გატარება (სასმელად გამოსაყენებელი წყლის ხარისხზე კონტროლი, სანაგვეების, საპირფარეშოების და სასაკლაოს მოწყობა, კურორტის შიგა ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვების აკრძალვა).

1.5. არ დაუშვას კურორტის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის წარმართვა;

1.6. შესაბამის უწყებასთან თანამშრომლობით ტელეგადაცემების მიღების მიზნით სატელევიზიო აპარატურის დამონტაჟება.

2. ეთხოვოს:

2.1. ს.ს. „ენეგრო–პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის ჩოხატაურის მომსახურების ცენტრს (მენეჯერი ივანე ჭარბაძე)

ა) აღადგინოს და წესრიგში მოიყვანოს ელექტრო გადამცემი ხაზები და ბოძები, რათა ეზრუნველყოფილ იქნას კურორტისათვის ელექტრო ენერგიის მოწოდება.

2.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის რეგიონალური სამმართველოს ჩოხატაურის რაიონულ განყოფილებას (ლევან სიხარულიძე) კურორტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

3. სეზონის განმავლობაში წამოჭრილ საკითხთა ოპერატიულად გადაჭრის მიზნით 5 ივნისიდან 5 სექტემბრამდე კურორტ ბახმაროში, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მივლინებული იქნან ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში თენგიზ ცენტერაძე, მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით საჯაია და ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში მალხაზი წიქორია.

4. ბრძანებით გათვალისწინებულ გასატარებელ ღონისძიებათა შესრულებაზე პასუხისმგებლობა და კოორდინატორის მოვალეობის განხორციელება დაევალოს დიმიტრი კორიფაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*